ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №195-16
(კონსოლიდირებული ტენდერი **CON150000076**)

ქ. თბილისი 07 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ **შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“** (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ოლეგ ბიჭიაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „იუ–ჯი–თი”** (შემდგომში - „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონითა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – „ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში - „შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. „მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. „დღე”, „კვირა”, „თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე;

1.1.8. სატენდერო კომისია - სტანდარტული პერსონალური და პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია;

1.1.9. სატენდერო დოკუმენტაცია - სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ **1 (ერთი) ცალი** სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერის - დესკტოპის (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) (CPV: 30213300; **შემდგომში - „საქონელი“ ან „შესყიდვის ობიექტი“)** სახელმწიფო შესყიდვა **დანართი №1–ის, დანართი №2-სა** და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში - „სახელშეკრულებო ღირებულება“) **1018.50 ლარი (ათას თვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი), დღგ-ს ჩათვლით.**

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზა"-ის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი გიორგი ხარატიშვილი.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან **არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 დეკემბერი.** შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: dator@mkr.ge; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.gaprindashvili@ugt.ge);

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეებს შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად;

7.2. საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელი განახორციელებს სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ატვირთვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე** შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით;

7.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,მარაბდა-კარწახის რკინიგზის" ადმინისტრაციის უფროსი შოთა ძაგნიძე;

7.4. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია პროექტის მენეჯერი, გელა გაფრინდაშვილი.

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება **მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში;**

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, საქონელის დაზიანების (გარდა არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეული დაზიანებისა) ან ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული დაზიანება/ხარვეზები, რის საფუძველზეც შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა) **წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს საქონელი/აღმოფხვრას ხარვეზი ან შეცვალოს იგი ახლით.** საქონელზე საგარანტიო მომსახურება უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მასზე დამონტაჟდება დისკის წამკითხავი (DVD ROM).

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს **საქონლის ღირებულება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.** თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

10.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, ხელშეკრულებით შესასყიდი საქონელის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
10.4.1 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
10.4.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **და მოქმედებს 2017 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.**

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით;
12.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
12.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, **ორ ეგზემპლარად,** რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“
ს/კ – 204522436
წარმოდგენილი ოლეგ ბიჭიაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებელის გამზ. №150,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. GE31 AZ00 3450 0000005101
ს.ს №„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო", კოდი: IBAZGE22.

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი
ს/კ – 204892964
წარმოდგენილი ერმილე სულაძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№ GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22.

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი), დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება (ლარი), დღგ-ს ჩათვლით
	სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი - დესკტოპი (კომპლექტი: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი)	1 ც.	1018.50	1018.50
			სულ დღგ-ს ჩათვლით:	1018.50

შემსყიდველი:
შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
წარმოდგენილი ოლეგ ბიჭიაშვილის სახით,

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი
წარმოდგენილი ერმილე სულაძის სახით

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 07.11.2016წ. №195-16
დანართი № 2

სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის ტექნიკური მაჩვენებლები

№	სავალდებულო მოთხოვნები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
1	**მონიტორი:**	**HP ProDisplay P222va Monitor**
2	მწარმოებელი ქვეყანა:	ჩინეთი
3	ტიპი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით
4	ფორმატი	16:9
5	რეაგირების დრო	8 მილი წამი
5	მატრიცის ტიპი	TN ან უკეთესი
6	გარჩევადობა	1920x1080
7	კონტრასტულობა	დინამიური 5 000 000:1
8	სიკაშკაშე	250 ცდ/მ2
9	უკანა განათების სამუშაო ციკლი	არანაკლებ 30 000 საათი
10	ხედვის კუთხე	178° ჰორიზონტალი 178° ვერტიკალი
12	დახრის კუთხე	არაუმეტეს –5, არანაკლებ +22 გრადუსი
13	ვიდეო პორტები	VGA, Display Port
14	მონიტორს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები	VGA კაბელი
15	**სისტემური ბლოკი:**	**HP 285 G2 Microtower Business PC**
16	მწარმოებელი ქვეყანა:	ჩინეთი
17	პროცესორი:	AMD Pro A8-7600B
18	გამოთვლითი ბირთვები	10 (4CPU+6GPU)
19	GPU ტაქტური სიხშირე	720MHz
20	ბირთვების რაოდენობა	4 (ოთხი)
21	L2 „ქეში"	4 მეგაბაიტი
22	ტაქტური სიხშირე	3.1 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში 3.8GHz)
23	უნდა გააჩნდეს ვირტუალიზაციის მხარდაჭერა	ვირტუალიზაციის მხარდაჭერა
24	დედაპლატა	
25	ჩაშენებული ვიდეო პლატა	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით
26	მყარი დისკის კონტროლერი	SATA, 3 ინტერფეისი
27	ჩაშენებული ქსელის ადაპტერი	RJ-45 10/100/1000
28	გაფართოების სლოტები	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი; PCI-E 16x - 1 ცალი
29	პორტები	USB 2.0 6-ცალი, აქედან 2 ცალი სისტემური ბლოკის წინა პანელზე 4 ცალი უკანა პანელზე
30	გრაფიკული ინტერფეისები	VGA, Display Port
31	ოპერატიული მეხსიერება	4GB ერთი მოდულით; ტიპი: DDR3 (1600MHz)
32	მყარი დისკი	500 გბ 7200 rpm 16Mb Cache SATA 6Gb/s
33	DVD/CD წამკითხველი (DVD/CD Rom)	DVD/CD წამკითხველი არაა. სისტემურ ბლოკს აქვს 1 DVD წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი
34	კლავიატურა: მწარმოებელი, მოდელი, ქვეყანა)	HP კლავიატურა USB, მინიმუმ 104 კლავიშიანი
35	მაუსი: მწარმოებელი, მოდელი, ქვეყანა)	HP მაუსი USB (scroll-ის ფუნქციით)
36	ოპერაციული სისტემა	Preinstalled Windows 10, Professional 64 OEM

შემსყიდველი:
შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა"
წარმოდგენილი ოლეგ ბიჭიაშვილის სახით,

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი
წარმოდგენილი ერმილე სულაძის სახით